 სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

ურთიერთგაგების მემორანდუმი
სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა
და
ბრაზილიის საჯარო ადმინისტრირების ეროვნულ სკოლას
შორის

----.--------. 2024 წელი

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში - ,,სკოლა"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - **ქეთევან ჯაყელის** სახით და ბრაზილიის საჯარო ადმინისტრირების ეროვნულ სკოლა (შემდგომში - „ეროვნული სკოლა"), წარმოდგენილი პრეზიდენტის, **ბეთანია ლემოსის** სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მხარეები", ხაზს უსვამენ, რომ თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და პარტნიორობა შექმნის ახალ შესაძლებლობებს ორივე მხარისათვის და ამ თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის (შემდგომში - „მემორანდუმი") ფარგლებში, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

მუხლი 2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს თანამშრომლობა მხარეთა ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე, ერთობლივი პროფესიული და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, გამოცდილების გაზიარება კარგი მმართველობის, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში. ასევე, თანამშრომლობა ინოვაციური მიდგომების გამოყენების პროცესში. სასწავლო კურსების, მათ შორის, დისტანციური სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან ორივე მხარის წარმომადგენლები: პროგრამის პერსონალი და ადმინისტრაცია.

მუხლი 3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 მემორანდუმით გათვალისწინებულ აქტუალურ საკითხებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება;

3.2 საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;

3.3 ორმხრივი ინტერესების სფეროში შემავალი ინფორმაციის გაცვლა;

3.4 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში საგანმანათლებლო/სატრენინგო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსების განხორციელებისათვის ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზება;

3.5 მხარეთა კომპეტენციის ფარგლებში ერთობლივი სასწავლო პროგრამების შემუშავება ან/და კონსულტაციების გაწევა პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში;

3.6 ერთობლივი სასწავლო პროგრამების განხორციელება ურთიერთთანხმობის გაცვლის პროგრამების, მსმენელთა, ტრენერებისა და ადმინისტრაციის სასწავლო ვიზიტების შემთხვევაში.

3.7 საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;

3.8 თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით ნებადართული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 4. თანამშრომლობის პრინციპები და ფორმები

4.1 მხარეთა შორის თანამშრომლობა ეფუძნება ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის, კონფიდენციალურობის, პატივისა და ღირსების დაცვის პრინციპებს;

4.2 წინამდებარე მემორანდუმი არ გამორიცხავს თანამშრომლობის სხვა ფორმებს/სახეებს, რომელთა განხილვა შესაძლებელია ნებისმიერი მხარის მიერ. ეს ფორმები/სახეები ასევე შეიძლება შეიცვალოს მხარეთა ორმხრივი წერილობითი თანხმობით. მემორანდუმში ცვლილებები არ შეიძლება განხორციელდეს ორივე მხარის თანხმობის გარეშე;

4.3 ორივე მხარე თანხმდება, რომ ყველანაირი ფინანსური ძალისხმევა, რომელიც აუცილებელია წინამდებარე მემორანდუმის ან ნებისმიერი შემდგომი შეთანხმების განსახორციელებლად, უნდა იყოს მოლაპარაკების საგანი თითოეული დაწესებულების რეგულაციების შესაბამისად და დამოკიდებული იქნება სახსრების ხელმისაწვდომობაზე. ორივე მხარე აღიარებს, რომ ეს მემორანდუმი აყალიბებს ურთიერთგაგებისა და ინტერესის საფუძველს და თავისთავად არ იწვევს რაიმე ფინანსურ ვალდებულებებს რომელიმე მხარის მიმართ.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებისა და დამატების შეტანა, რომელიც ფორმდება წერილობით. იგი წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 6. სხვა დებულებები

6.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **5 (ხუთი)** წლის ვადით. მისი მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

6.2 მემორანდუმის მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით, ან ერთ-ერთი მხარის ინიციატივით შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ აცნობოს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა.

6.3 მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა არ მოქმედებს იმ ღონისძიებათა კანონიერებაზე ან/და ხანგრძლივობაზე, რომელიც შეთანხმებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში. მხარეებმა უნდა განახორციელონ ყველა აუცილებელი ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული აქტივობების დასასრულებლად.

6.4 წინამდებარე მემორანდუმი გაფორმებულია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული ქართულ, პორტუგალიურ და ინგლისურ ენებზე, ყველა ტექსტი არის ავთენტური და თანაბარი იურიდიული ძალის;

6.5 შეთანხმების დებულებათა ინტერპრეტაციაში რაიმე განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ტექსტს.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა	ბრაზილიის საჯარო ადმინისტრირების ეროვნულ სკოლა
დირექტორი	**პრეზიდენტი**
ქეთევან ჯაყელი	**ბეთანია ლემოსი**
თარიღი "___" _____ 2024	თარიღი "___" _____ 2024